



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

## მდივანბეგი

მდივანბეგი, უფროსი მოსამართლე, მსაჯულთუხუცესი, სასამართლოს თავმჯდომარე. მ-ის სახელი საქართველოში XVII ს-ში დამკვიდრდა. მ. მოსამართლის აღმნიშვნელი სხვა ტერმინების – „მსაჯული“, „მოსამართლე“, „ბჭე“ – პარალელურად იხმარებოდა.

ქართულ სამეცოებში მ-ს მოხელეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. იგი წარმოადგენდა მეფის სასამართლოს, სამართალწარმოების დროს ემყარებოდა სამეცო ხელისუფლებას და სამოხელეო შტატს. მ-ს ექვემდებარებოდნენ აღმასრულებელი და საგამოძიებო უფლებების მქონე მოხელეები და წეს-ადათების მცოდნე პირები: მსაჯულები (ბჭეები), იასაულები, ბოქაულები, მდივნები, ხევისთავები, მეთემეები. მ-ის თანამდებობაში, ი. სურგულაძის შეფასებით, ყველაზე მეტად იყო გამოხატული მეფის ხელისუფლების საჭარო-უფლებრივი საწყისი. მ-ის სასამართლოს ემორჩილებოდა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი, მიუხედავად მათი სოც. რანგისა და სტატუსისა.

მ-ს ხელი მიუწვდებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, მის კომპეტენციაში შედიოდა განსაკუთრებული სიმძიმის სასამართლო საქმეები: მკვლელობა, დაქრა, ღალატი, საღაროსა და ეკლესიის ძარცვა; მ. განიხილავდა აგრეთვე სამოქალაქო საქმეებს – სამამულო დავებსა და საოჯახო გაყრებს. „დასტურლამალში“ ხაზგასმულია, რომ მისი უშაულო მონაწილეობით უნდა გაერჩიათ ელის ტომთა სასისხლო საქმეები. ადგილობრივ მოურავს მათი განხილვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ მ-ის არყოფნის შემთხვევაში.

XVII ს. და XVIII ს. I ნახ-ში ქართლის სამეცოში 4-ზე ნაკლები მ. არ უნდა ყოფილიყო. XVIII ს. II ნახ-ში ქართლ-კახეთის სამეცოში მათი რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა. მ-ები

იყვნენ აგრეთვე იმერეთის სამეფოში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში.

**ლოტ.**: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით,  
„ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 13; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და  
სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული  
სამართლის ისტორია, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6).

**მ. კლდიაშვილი**

---